პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

კახეთის რეგიონში ვაშლოვანის ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, შექმნა

განხორციელების ვადა: 01.01.2019 - 31.12.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 300 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 333 333

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Dedoplistskaro Municipality

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/REC-Caucasus-314985285364004,
facebook.com/groups/dedopliswyaro

პროექტის ვებსაიტები: rec-caucasus.org & dedoplistskaro.gov.ge

პროექტის აღწერა:

პროექტი, ისევე როგორც ევროკავშირის სხვა გარემოსდაცვითი ინიციატივები, ხორციელდება ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას რესურსების მდგრადი მართვა და უკეთესი სერვისების შეთავაზება სტუმრებისთვის. პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობს, რათა უკეთ მოხდეს ძალისხმევის კოორდინაცია და სისტემების დანერგვა, მონაწილეობითი და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.
ვაშლოვანის ბიოსფერულს რეზერვატს, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზეს ადგილს ევროკავშირი ადრეც უჭერდა მხარს. მან ევროკავშირის დაცული ტერიტორიების დიპლომიც მიიღო ბიოლოგიური, გეოლოგიური და ბუნებრივი მრავალფეროვნებისთვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობები გაძლიერებულია კახეთის რეგიონში ვაშლოვანის ბიოსფერული რეზერვატის საერთო ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მართვის უზრუნველსაყოფად.
- მრავალმხრივი თანამშრომლობის პლატფორმა და სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით კახეთის რეგიონში ვაშლოვანის ბიოსფერული რეზერვატის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შესამუშავებლად.
- კახეთის რეგიონში ვაშლოვანის ბიოსფერული რეზერვატის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო შემუშავებულია.
- მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა შექმნილია ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციულ და ანალიტიკურ ინსტრუმენტს ბიოსფერული რეზერვატის შექმნის პროცესში მონაწილეობის და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისთვის.
- ადგილობრივი მოსახლეობის, სამოქალაქო ორგანიზაციების, დაინტერესებული ჯგუფებისა და ფერმერების ცნობიერება ამაღლებულია რათა უკეთ გაიგონ ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებები და მოახდინონ მათზე ზეგავლენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი რესურსების თანაბარი გაზიარება დაგეგმილ ბიოსფერულ რეზერვატში.